ფინანსური ანგარიშგებისგანმარტებითი შენიშვნები

31.12.2021 დასრულებული წლისთვის(ლარი)

ზოგადი ინფორმაცია

შპს ელექტრო სერვისი“(ს/კ 204900768) დაფუძნებულია 1997 წლის 20 ივნისს.

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და ფილიალები.

კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი , საბურთალოს რაიონი, კ.უთათელაძის 8 .

ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, ჭაჭავაძის 7დ

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტრო-სამონტაჟო მომსახურება და ელექტრონული აქსესუარებით ვაჭრობა.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის წილს ფლობენ:

ლევან ერისთავი 01008007715-45%

გია გაგუნაშვილი 01008010502-45%

ეკა ერისთავი 01010003413-10%

კომპანიის დირექტორია ლევან ერისთავი.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2000 ლარს.

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტას წარმოდგენს ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახული ერთეულამდე სიზუსტით.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასება და მსჯელობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით,2021წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის. წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებას.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ქვემოთაა განხილული.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ფინანსურ ანგარიშგებას, სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.**ისტორიული ღირებულება ზოგადადდაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.**

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდებავალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასებისთარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების

სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანიაიყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუშეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანიაახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან თანამშრომლობით) ისეთი შეფასებისმეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის დამფუძნებლებს აქვთ სურვილი და პოტენციალი საქმიანობა განავითაროონ. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც გამოყენებული იქნა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საზოგადოების მოქმედი ვალუტაა ეროვნული ვალუტა ლარი. შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ლარი, რომელიც ასახავს ძირითადი მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკებში არსებული საზოგადოების ანგარიშებზე არსებული ნაშთებისგან.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ კომპანიამომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია დაგროვილი ცვეთით, ან გაუფასურების ზარალით შემცირებული პირვანდელი თვითღირებულებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც სხვადასხვა სარგებლობის ვადა აქვთ, ისინი ცალ-ცალკე აღირიცხებიან, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონეტები. ძირითადი საშულების თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიისსააღრიცხვო პოლიტიკით.

გრანტის სახით მიღებული, ნაჩუქარი ძირითადი საშუალებები აქტივად აღიარდება მათი რეალური ღირებულებით, რაც დასტურდება ქონების შემფასებლის ან აუდიტორის მიერ.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მისი მოხდენისთანავე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ნაშთის შემცირების მეთოდის საშუალებით. თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის გამოყენების დაწყების შემდეგ. ძირითადი საშუალების სასიცოცხლო პერიოდი განსაზღვრულია შემდეგნაირად:
მანქანა-დანადგარები - 5-20%
საოფისე აღჭურვილობა - 5-20%
ავეჯი და ინვენტარი - 5 -20%
თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ აქტივის სასიცოცხლო პერიოდის მომსახურების ვადაში, ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის პოლიტიკის გადახედვა და კორექტირება, რათა აისახოს მიმდინარე შეფასება აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით.

მარაგი
მარაგი ასახულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებული გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
კომპანიამარაგის და მომსახურების გაყიდვას ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში. შესაბამისად არ ხდება მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზოგადოებაახორციელებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შეფასებას და განსაზღვრავს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის მოგება-ზარალში აღიარება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
კომპანიისსავაჭრო ვალდებულებები წარმოიქმნება ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციებიდან. შესაბამისად არ ხდება ამ ვალდებულებებზე პროცენტის დარიცხვა.

მოგების გადასახადი
მოგების გადასახადი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი თანხა, რომელიც ეფუძნება მიმდინარე წელს დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას.

ამონაგების აღიარება
ამონაგები წარმოადგენს კომპანიის მიერ მიღებულ ან მისაღება ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.
გრძელვადიანი აქტივის გაყიდვიდან მიღებული წმინდა მოგება (ზარალი) აღირიცხება ცალკე და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება არასაოპერაციო შემოსავლის (ხარჯის) სახით.
2018 წლის 1 იანვრიდან **ფასს 15ით – „ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“** დაწესდა ახალი მოთხოვნა ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებით, რითაც ჩანაცვლდა ბასს-18 „ამონაგები“, ბასს 11-ს – „სამშენებლო კონტრაქტები“ და სხვა რეალიზაციასთან დაკავშირებული სტანდარტები. ახალი სტანდარტი ასახავს კონტროლთან დაკავშირებული რეალიზაციის მოდელს და განმარტებას იძლევა ისეთ დეტალებზე, რაც აქამდე სხვა ფასს-ებში არ

იყო. მაგალითად, ბუღალტრულად როგორ უნდა აღირიცხოს მრავალპროფილიანი ვალდებულებები, ფასების ცვალებადობა, მომხმარებლის დაბრუნების უფლებები, მომწოდებლების გამოსყიდული ოფციები და სხვა ოპერაციები.

ფასს 15- ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლის/მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ პრინციპბზე დაფუძნებულ ხუთ ეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა მოდელთან ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან
- შემოსავლის აღიარება, როდესაც(ან/თუ) პირი საკონტraქტო ვალდებულებას შეასრულებს

ფასს 15-ის მიხედვით საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე „კონტროლი“ კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორიცაა, მაგალითად შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოსავლის განმარტების ახალი მეთოდები.

ხარჯის აღიარება

ხარჯის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ხარჯების ასახვა ხორციელდება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზანდ ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს და მართვას. აღნიშნული ხორციელდება რისკების სათანადო ლიმიტის დაწესებით, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრით, რისკების დონის და ლიმიტის დაცვის რეგულარული მონიტორინგით.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, რომლებიც ბალანსის შედგენის თარიღისთვის გავლენას არ ახდენენ კომპანიისფინანსურ მდგომარეობაზე, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არცერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან, არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციებიდა შესწორებები რომლებიც გამოიცა და ძალაშია შესული 2018 წლის 1 იანვრიდან:

• IAS 28-ში შესული ცვლილებები (2014-2016 პერიოდის ფასს სტანდარტების ყოველწლიური ცვლილებები, გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2018წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში აზუსტებს:მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციებს, ასევე ინვესტიციებს ერთობლივსაქმიანობაში, რომელიც განხორციელებულია ვენჩურული კაპიტალის მქონე, საერთო ფონდების, ანსხვა მსგავი ტიპის ორგანიზაციების მიერ, უფლება აქვთ თითოეული ზემოთმოხსენებული ინვესტიციათავდაპირველი აღიარებისას აღიაროს სამართლიანი ღიერებულებით მოგება ზარალში ასახვით.

ცვილებებს არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

• IAS 40-ში შესული ცვლილებები (გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიცძალაში შევიდა2018 წლის 1 იანვრიდან ან/და პერიოდის შემდეგ, განმარტავს, რომ საინვესტიციო ქონების კლასიფიკაცია სხვა მუხლებში, ან პირიქით სხვამუხლებიდან საინვესტიციო ქონებაში კლასიფიკაცია მხოლოდ მაშინ უნდა განხორციელდეს (მათშორის იმ აქტივებისა რომლებიც არის მშენებლობის და განვითარების სტადიაში) როდესაც არსებობსმტკიცებულება იმისა, რომ ქონების გამოყენების შინაარსის ცვლილება მოხდა.

ცვილებებს არმოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

• ცვლილებები ფასს-2 კლასიფიკაცია და შეფასება წილობრივი გადახდების ტრანზაქციებზე(გამოცემული 2016 წლის ივნისში). ცვლილებები, ეხება 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომპერიოდებს, რომელიც განმარტავს ვესტირების და არავესტირების ეფექტებს აქციაზე დაფუძნებულიგადახდის(ადგ) ნაღდი ფულით ანგარიშსწორებაზე, (ადგ)-ს აღრიცხვისას ნეტო საგადასახადოთვისებაზე საშემოსავლო გადასახადის ვალდებულების თვალსაზრისით და (ადგ)-ს პირობებისმოდიფიკაციაზე, რომელიც უცვლის ტრანზაქციას კლასიფიკაციას ნაღდ ფულზე დაფუძნებულიდანკაპიტალზე დაფუძნებულზე.

ცვილებებს არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

• ცვლილებები ფასს-4-ში სახელწოდებით ფასს-9 ფინანსური ინსტრუმენტების გავრცელება ფასს-4სადაზღვევო კონტრაქტებზე (გამოშვებული 2016 წლის სექტემბერში) ცვლილებების მიხედვით - კომპანიები რომლებიც უშვებენ სადაზღვევო კონტრაქტებს აქვთ უფლება შემოსულობა ან ზარალიაღიარონ - სხვა სრულ შემოსავალში და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მერყეობა რომელიცშეიძლება გამოიწვიოს ფასს-9-ის გავრცობამ ფასს-4-ზე პროექტდება კომიტეტის მიერ. ასევეკომპანიებს, რომელთა აქტივობები განსაკუთრებულადაა დაკავშირებული სადაზღვევოსაქმიანობასთან დროებითი გამონაკლისის სახით შეეძლებათ არ გადავიდნენ ფასს-9-ზე (2021წლამდე) და ამგვარად დარჩნენ ბასს-39-ზე.

კომპანიას არ გამოუშვია სადაზღვევო კონტრაქტები,შესაბამისად ცვლილებებს არ ექნება ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

• ცვლილებები ფასს 10 და ბასს 28-ში „ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორისაქტივების შეძენა/ გაყიდვა“ (გამოიცა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილებები, ეხება ორ სტანდარტსშორის არსებულ შეუთავსებლობას და განმარტავს, რომ მოგება ან ზარალი სრულად

უნდა იქნასაღიარებული, როდესაც ტრანზაქციაში ჩართულია ბიზნესი, და ნაწილობრივად, თუ მასში ჩართულიააქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს. ამ ცვლილების ამოქმედების დღე თავდაპირველადიყო 2016 წლის 1 იანვარი, მაგრამ გადაიდო განუსაზღვრელი ვადით, თუმცა მისი ადრეული გამოყენებაჯერ კიდევ ნებადართულია.
აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურანგარიშგებაზე.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აყენებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9 - ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს ჩაანაცვლოს ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა. ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნებია :

- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა. ფინანსურიაქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა, საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები რომლებსაც პირი ფლობს ისეთიბიზნეს მოდელით, რომლის მიზანიასაკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრება და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითად თანხას და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9- ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია „ სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლებით ‘. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ბიზნეს მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტურმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები,რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რომელიც ძირითადი თანხების გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმეტები, თავდაპირველი აღიარების შემთხვევაში იზომება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინვესტიცია იზომება სამართლიანი ღირებულებით. გარდა ამისა ფასს 9 - ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არასაბაზროდ განკუთვნილის) სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.**ფინანსური ვალდებულები,ასევე ბასს-39-ის მიხედვით კლასიფიცირდება.თუმცა,არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში.ბასს-9 ითხოვს,რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნას სხვა სრულ შემოსავალში.თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების,შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამოს შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში.ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.

- **გაუფასურება.**ფასს-19 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების,გაზომვის „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის“მოდელი,რაც ბასს-39 -ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა.მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს,ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხვოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე,რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ.სხვაგვარად რომ ვთქვათ აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.

- **ჰეჯირების აღრიცხვა.**შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას.ფასს-9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მდგომარეობას,ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში.კერძოდ,გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი,რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობად,რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოიყენოთ.გარდა ამისა,ეფექტერობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა“ეკონომიკური ურთიერთობის“პრინციპით.ასევე,აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტრული შეფასება.შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- **აღიარების შეწყვეტა.**ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გამოხატულია ბასს-39-დან .სტანდარტის სავალდებულო გამოყენება ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან.ფასს-9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებისას შესაძლებელია,სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშის მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული,არამედ სხვადასხვა დროს. კომპანია აფასებს მომავალში ფასს-9-ის გამოყენების გამოვლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- **ფასს-16 იჯარა-** ჩაანაცვლა არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებები.ბასს 17 ლიზინგი,IFRIC განსაზღვრით შეიცავს თუ არა იჯარას.SIC-15 საოპერაციო იჯარა-სტიმულირდება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება,რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას.იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს,რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღრიცხულ საოპერაციო ლიზინგს.სანაცვლოდ,რჩება ერთ ბალანსზე აღრიცხვული

მოდელი,რომელიც ჰგავს დღევანდელი ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გაცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება. ე.ი იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

გ) ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

ფასს 17დაზღვევის ხელშეკრულებები(გამოცემულია 2017 წლის მაისში) - სტანდარტი, რომელიც შეცვლისფასს 4-ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული გამოყენებადაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც,სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენსშედარებით სრულ საზომ და წარმოსადეგ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვეო გარიგებისთვის.
ზემოთხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვეო გარიგებებისთანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ინდივიდუალური ფინანსურიანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვეოხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე.სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დისკრეციულიმონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები.
გამომდინარე იქიდან, რომკომპანიას არ გააჩნია როგორც გამოცემული დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე გადაზღვევისხელშეკრულებები, სტანდარტს არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი კომპანიასფინანსურ ანგარიშგებაზე.
ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ ადგილია არ ჰქონია დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინინანსური ინსტრუმენტები-რისკების მართვა
კომპანიისოპერაციებისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია: ფინანსური, საოპერაციო და სამართლებრივი. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკებს (მათ შორის საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტორისკსდალიკვიდურობისრისკს.
ფინანსურირისკისმართვისძირითადიამოცანებიარისკისშეზღუდვებისდადგენადაშემდგომიმისი უზრუნველყოფა, რომრისკისფაქტორისადმიდაქვემდებარებაამშეზღუდვებსარგასცდეს. საოპერაციოდასამართლებრივირისკისფაქტორებისმართვისფუნქციებიგანკუთვნილიაშიდაპოლ იტიკისდაპროცედურებისსათანადოდფუნქციონირებისმიზნით,
საოპერაციოდასამართლებრივირისკებისშესამცირებლად.
ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკი
ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს საკმარისი ფინანსური რესურსის არარსებობას, რათა შესაბამის ვადაში მოხდეს სესხების გასტუმრება, სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა. კომპანიაინარჩუნებს ლიკვიდურობის მართვას იმის უზრუნველყოფით, რომ ფონდები ყველა პერიოდში ხელმისაწვდომი იქნება, რათა მოხდეს ვალდებულებების შესრულება.
ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანიის ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკები ფაქტიურად არ გააჩნია, ან მინიმალიზებულია.
საბაზრო რისკი.

საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: 1) უცხოურვალუტებში, 2)პროცენტიანაქტივებსადავალდებულებებში; 3)ლიკვიდურობის რისკითპროდუქტებისმხრივ.ისინი ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზროცვლილებებს.
მენეჯემენტი განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმაა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვანსაბაზროცვლილებებს.
საანგარიშოპერიოდშიკომპანიას არგააჩნიაბაზართანდაკავშირებულიარსებითირისკები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. საანგარიშგებო პერიოდში უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები არსებით გავლენას არ ახდენს ფინანსურ მდგომარეობაზე. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში კომპანიასარ გააჩნია რისკი, რომელიც გამოწვეულია მისი ფინანსურ პოზიციისა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსის ცვლილებით, რადგან ხარჯები გაიწევა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში; შემოსავლები მიიღება ასევე ლარებში; საზოგადოებას არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული არც ერთი ვალდებულება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საზოგადოების არ გააჩნია სესხი ან სხვა სახის ფინანსური ვალდებულება, რომელსაც ერიცხება პროცენტი.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების და ლიკვიდური აქტივების სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

განუსაზღვრელი ვალდებულებები

სასამართლოგანხილვები- 31.12.2021 წ მდგომარეობით საზოგადოება არმონაწილეობდასასამართლოან/და სხვა ტიპის დავებში.

დაგირავებულიდაშეზღუდულიაქტივები - საანგარიშო პერიოდში საზოგადოების აქტივები დაგირავებულიან/და შეზღუდული არ ყოფილა.

ფასს-ის პირველადი გამოყენება

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის მისი პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ბალანსის შედგენის თარიღის შედგენის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში მთელს მსოფლიოში მოხდა COVID-19-ის აფეთქება, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა ბიზნეს გარემოზე მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. COVID-19 -ის საზოგადოების ჯანმრთელობისთვის პოტენციურად სერიოზული საფრთხის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომები მიიღო. კერძოდ, განხორციელდა უცხოელი სტუმრებისთვის ქვეყანაში შემოსვლის შეზღუდვები,

საზოგადოებას მითითება მიეცა, რომ გადასულიყვნენ სახლიდან მუშაობის რეჟიმზე. სკოლების, უნივერსიტეტები გადავიდა დისტანციური სწავლების რეჟიმზე, დაიხურა რესტორნები, კინოთეატრები, თეატრები, მუზეუმები და სპორტული დაწესებულებები. აღნიშნული ზომები საქართველოს მთავრობამ ეტაპობრივად გაუქმა 2020 წლის მაისის ბოლოდან.
მიუხედავად ზემოაღნიშნული ზომებისა, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების გამოშვების ნებადართვის თარიღისათვის, კომპანია ჩვეულებრივად აგრძელებს თავის საქმიანობას.
ამ ეტაპზე არსებული საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით და კომპანიის მიმდინარე საოპერაციო და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ COVID-19-ის აფეთქებას ექნება მყისიერი უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. თუმცა, ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს რომ გახანგრძლივებულ საკარანტინე პერიოდს, ზომების სიმკაცრის ზრდას ან მსგავსი ზომების შემდგომ უარყოფით გავლენას ეკონომიკურ გარემოზე, ექნება უარყოფითი გავლენა კომპანიაზე საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში. კომპანია ასევე ითვალისწინებს მოვლენათა უარყოფითი განვითარების ვარიანტებს და მზად არის შესაბამისად მოარგოს მისი საოპერაციო გეგმები. ხელმძღვანელობა აგრძელებს სიტუაციის მონიტორინგს და მსგავსი მოვლენების და გარემოებების შესამსუბუქებლად მიიღებს საპასუხო ზომებს მათი მოხდენისთანავე.

ფინანსური ანგარიშგება რომელიც დასრულებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამტკიცემულია ხელმძღვანელობის მიერ და ნებადართულია გამოსაშვებად 2021 წლის 25 დეკემბერს.

ფინანსური მდგომარეობა		
ფინანსური მდგომარეობა	**31/12/2021**	**31/12/2020**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	166850	82958
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	121178	149114
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	43597	0
მარაგები	1553682	1426159
მზა პროდუქცია	1378340	1197522
სხვა	175342	228637
საინვესტიციო ქონება	29843	38255
სხვა მოკლევადიანი აქტივები	166661	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0
ძირითადი საშუალებები	0	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	2081811	1696486
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	0	0

სავაჭრო ვალდებულებები	56234	127505
ანარიცხები	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	37500	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	11170
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	152463
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	333535	339090
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0
სულ ვალდებულებები	427269	630228
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2000	2000
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1652542	1064258
გადაფასების რეზერვი	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1654542	1066258
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2081811	1696486
სულ მოკლევადიანი აქტივები	1939765	1696486
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	427269	291138

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	**31/12/2021**	**31/12/2020**
ნეტო ამონაგები	3315983	726244
საქონლის გაყიდვიდან	3315983	714381
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	11863
გაყიდვების თვითღირებულება	-2251744	-402381
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1064239	323863
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-292501	-255732
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-3407	-5277
საპროცენტო შემოსავალი	0	0

საპროცენტო ხარჯი	-63691	-25871
იჯარის ხარჯი	-20890	-40237
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	0	0
სულ საოპერაციო ხარჯები	-380489	-327117
საოპერაციო მოგება	683750	-3254
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-95466	193934
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	588284	190680
მოგების გადასახადის ხარჯი	0	-29329
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	588284	161351
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	588284	161351
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1066258	1071107
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	-166200
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1654542	1066258

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	**31/12/2021**	**31/12/2020**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	3789954	669662
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-3706062	-856961
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0

ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	83892	-187299
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	82958	270257
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	166850	82958

დირექტორი: ლევან ერისთავი

ბუღალტერი: ხათუნა აფციაური